

EthicCapital-ის ცნობის ფურცელი

საკრედიტო კავშირი

მაღე ახალ ოფისში?

ოფისი, სადაც საკრედიტო კავშირი მისი დაარსების დღიდან საქმიანობს სინამდვილეში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ოროთახიანი ბინაა. ის, მიუხედავად მისი მოკრძალებულობისა, მრავალი საინტერესო შეხვედრისა და დისკუსიის ადგილი გამხდარა და აქედან გამომდინარე მცირე ისტორიას ნამდვილად ინახავს, თუმცა კოოპერატივის აქტიური საქმიანობას უკვე დღითიდღე მოუხერხებელს ხდის.

EthicCapital-ის დღის წესრიგში საოფისე ფართის გაფართოების საკითხი დადგა.

კოოპერატივს უცხოელი პარტნიორების თანადგომით ოფისის შექმნა სურს, რომელიც ერთისმხრივ საკრედიტო კავშირის ფინანსურ მდგომარეობას და სამუშაო პირობებს გააუმჯობესებს, მეორესმხრივ კი მის მსესხებლებზე იქნება ორიენტირებული.

ვიმედოვნებთ, რომ სათანადო ოფისის შერჩევას უახლოეს მომავალში შევძლებთ, რაც ჩვენი საქმიანობის შედეგიანობას უფრო გაზრდის.

სიახლეები

პარტნიორები

ჩვენი პარტნიორების თანადგომას კიდევ უფრო დასაფასებელს ხდის ის ფაქტი, რომ ისინი ცდილობენ, იგრძნონ **EthicCapital** -ის მაჯისცემა, მისი საჭიროებები და ეფექტური მხარდაჭერით გააძლიერონ ახალბედა საკრედიტო კავშირი.

ძვირფასო მეგობრებო,

ალბათ ყველა დაგვეთანხმებით, რომ თვითოეული ჩვენთაგანის ბედნიერება ბევრად არის დამოკიდებული ჩვენს გარშემომყოფთა კარგად ყოფნაზე. ინიციატივებს, აქტივობას, გაცნობიერებულ ქმედებას, რომელიც საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეზეა ორიენტირებული გრძელვადიანი დადებითი შედეგი მოაქვთ. საკრედიტო კავშირის მთავრ მოტივაციასაც სწორედ ეს წარმოადგენს. ჩვენ გვსურს, ვიყოთ წარმატებულნი, იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი გახდეს ჩვენი წარმატების თანაზიარი. ჩვენ გვსურს, ვიყოთ აქტიურნი, რათა სხვებსაც მივცეთ ნაყოფიერი აქტივობის საშუალება.

გახდით ჩვენი ელჩები მათთან, ვინც არ იცის ჩვენს შესახებ!

გავაძლიეროთ ერთმანეთი!

ბაზელის თავისუფალი სათემო ბანკის მეოხებით არამხოლოდ იაფი სესხის სახით მივიღეთ 15.000 შვეიცარული ფრანკი, არამედ მისმა 5.000 ევროს ოდენობის შემოწირულობამ ჩვენი საკუთარი კაპიტალი გაზარდა, რამაც თავისმხრივ აქტიური საკრედიტო საქმიანობის შესაძლებლობა მოგვცა.

ყოველი ახალი პარტნიორი ჩვენთვის მნიშვნელოვანი შენაძენია. ჰამბურგის არაკომერციულმა სამეურვეო კავშირმა იაფი სესხის სახით 20.000 ევრო გამოგვიყო.

წევრები

იმ ტიპის ორგანიზაციებისთვის, როგორც **EthicCapital** -ია საკუთარი კაპიტალის ქვოტა მისი მუშაობის უზრუნველყოფისთვის განმსაზღვრელია. ყოველი ახალი წევრი გაზრდილი საკუთარი კაპიტალი, აქტიური მუშაობის შესაძლებლობაა, ამიტომ განსაკუთრებით გვახარებს საკრედიტო კავშირის წევრთა რიცხვის ზრდა - ჩვენ უკვე 104 წევრი გვყავს!

.საკრედიტო საქმიანობა

წლის დასაწყისიდან საკრედიტო კავშირმა 24 სესხად 109.120 ლარი გასცა. მათ შორის:



საკრედიტო კავშირის წევრის სასათბურე მეურნეობა

კონტაქტი:

ვაჟა-ფშაველა, VII კვარტალი, XVII კორპუსი,
II სადარბაზო, I სართული,
0183 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995) 32 2 30 43 69
info@ethiccapital.eu
www.ethiccapital.eu

- ეკოლოგიურად სუფთა მეურნეობა — 13 სესხი
- ბიო-პროდუქცია, მდგრადი განვითარება — 4 სესხი
- სოციალური სფერო — 3 სესხი
- განათლება და კულტურა — 4 სესხი

პუბლიკაციები

ბაზელის თავისუფალი სათემო ბანკის გაზეთ „transparenz“-ში **EthicCapital**-ის საქმიანობის აქტუალური მდგომარეობის შესახებ კიდევ ერთი სტატია გამოქვეყნდა. გთავაზობთ მის თარგმანს:

<http://www.ethiccapital.eu/pdf/Presse/Transparenz%20Nr.%2066%20Artikel%20ueber%20EthicCapital-ge.pdf>

EthicCapital-ის თანამშრომლები მიგრაციის საერთაშორისო ცენტრის (CIM) მხარდაჭერით უკვე დიდი ხანია სარგებლობენ.

სტატია საკრედიტო კავშირის დამფუძნებლის შესახებ ქვემოთ დართულ ლინკზე გამოქვეყნდა. დავით ნიგურიანი **EthicCapital**-ის დაარსების წინაპირობებზე საუბრობს, რითაც სურს წახალისოს ადამიანები, რომლებიც საქართველოში საკუთარი ბიზნესი წამოწყებაზე ფიქრობენ.

<http://www.geschaefsideen-fuer-entwicklung.de/die-laender/georgien/david-niguriani/>